პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 19 სექტემბერი, 1942 წ. № 223 (6539). ფასი 15 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ, მოძმე ტაჯიკეთისა და უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები, სტახანოველი კოლმეურნეები, ჰისარის დიდი არხის მშენებელნი, რომელთაც თავი მოვიყარეთ არხის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე, ჩვენს გულითადსა და მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, დიდ მხედართმთავარს.

იმ მრისხანე საფრთხის ჟამს, რომელიც ჩვენს სამშობლოს ჩამოსწოლია, ჩვენ თავი მოვიყარეთ ტაჯიკეთის დედაქალაქ სტალინაბადში, რათა დავესწროთ კიდევ ერთი დამთავრებული სახალხო ნაგებობის ამუშავებას. დღეს საზიზღარი და ბოროტი მტერი, რომელიც ანგარიშს არ უწევს უდიდეს ზარალს, თავისი უწმინდური სისხლისაგან იცლება და კვლავ გამძვინვარებით მოისწრაფვის წინ...

...ალება, უზრუნველვყოთ ბამბის ჩაბარების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება, თავის დროზე ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა, ყოველდღიურად ვამზადოთ ახალი საბრძოლო რეზერვები წითელი არმიისათვის.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ ჩვენ, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მშრომელნი, საკუთარ სიცოცხლეს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ბედნიერება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით სახელოვანი წითელი არმია გაანადგურებს და მოსპობს გერმანელ ფაშისტ კაციჭამიებს. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

გაუმარჯოს ჩვენი კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, სამამულო ომის გენიალურ მხედართმთავარს დიდ **სტალინს!**

წერილი მიღებულია 1942 წლის 12 სექტემბერს ქალაქ სტალინაბადში შემდგარ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ჰისარის დიდი არხის გახსნას.

მიტინგს დაესწრო ტაჯიკეთისა და უზბეკეთის 7.000-ზე მეტი კოლმეურნე და სტალინაბადის მშრომელნი.

ჩრდილოეთ კავკასიის მთებში

საბჭოთა არტილერისტების ცეცხლი

მოქმედი არმია, 17 სექტემბერი (საკორ.)...

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

გმირული შრომით დავეხმაროთ ჩვენს მამაც წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში

ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შედგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, რომელსაც ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. დაშნიევმა გააცნო ილიჩის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა მოწოდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც აგვისტოს საერთო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ერთსულოვნად მოიწონა ორდენოსანი ქარხნის ინიციატივა და გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

ვებმებით რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სექტემბერში ვიმუშავებთ უფრო უკეთესად, ვიდრე აგვისტოში, ოქტომბერში უფრო უკეთესად, ვიდრე სექტემბერში, შევასრულებთ ოქტომბრის გეგმას სამხედრო პროდუქციის გამოშვების დარგში 5 პროცენტის გადაჭარბებით, მოცემულ გეგმასთან შეფარდებით 2,5 პროცენტით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, 10 პროცენტით შევამცირებთ ელექტროენერგიის ხარჯვას, ხოლო სათბობისა — 15 პროცენტით, შევაგროვებთ 10 რაციონალიზატორულ წინადადებას, ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის მოვამზადებთ 20 ახალ მუშას.

ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). ილიჩის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა მოწოდებასთან დაკავშირებით ქუთაისის საწარმოებში მოეწყო საუბრები. მუშები ისწრაფვიან ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავი.

წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში ჩაებნენ საწარმოები, ცალკე საამქროები, ბრიგადები. ფართოვდება მუშათა ინდივიდუალური შეჯიბრება.

სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება აიღო დაზოგოს სექტემბერში 12.000 მანეთი და 5 პროცენტით გაადიდოს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ამ ფაბრიკის მკერავმა სტახანოველმა ფაცია ბაკურაძემ იკისრა სექტემბერში 10 პროცენტით გაადიდოს ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

საკონსერვო ქარხნის კუზნეცოვის ბრიგადაში მუშა-ქალი ლუბა განგესოვა აგვისტოში ნორმა-ნახევარს იძლეოდა, ახლა ის ყოველდღიურად სამ ნორმას ასრულებს. განგესოვა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა ოთხსაოვანი გახდეს.

ს. ყურაშვილი

იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები გაეცნენ ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა კოლექტივის მოწოდებას. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ს. იაკობაშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მოწოდების ტექსტი და ილაპარაკა მის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

— ვებმებით რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — განაცხადა სტახანოველმა მუნჯიშვილმა, — ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დახმარება გავუწიო ჩამორჩენილ ამხანაგებს, გადაჭარბებით შევასრულო სექტემბრის გეგმა, ხოლო ოქტომბერში მივაღწიო გეგმის 110 პროცენტით შესრულებას.

სტახანოველმა კაციაშვილმა განაცხადა, რომ იგი სექტემბერში გეგმას შეასრულებს 125 პროცენტით, ხოლო ამხ. გოგორიშვილმა პირობა დასდო გეგმა შეასრულოს 130 პროცენტით. დამატებითი ვალდებულებები იკისრეს ამხ. ჩერნოვამ, სეროპიანმა, გოლოფეევამ და სხვებმა.

ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად აიღო შემდეგი ვალდებულებები: სექტემბერსა და ოქტომბერში გაზარდოს პროდუქციის გამოშვება 3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს სექტემბერში 3 პროცენტით, ოქტომბერში 4 პროცენტით, შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა 3-4 პროცენტით, სათბობი მასალისა — 5 პროცენტით, მოამზადოს 50 ახალი ხელოსანი და სხვ.

ფაშისტ ყაჩაღების გასანადგურებლად

კალინინის სახელობის ქარხანას, რომელიც ჩაბმულია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აღებული აქვს ვალდებულება დიადი თარიღის — ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის დაამთავროს წლიური გეგმის შესრულება. ქარხნის კოლექტივი ამ ვალდებულებას წარმატებით ასრულებს. 15 სექტემბრისათვის ქარხანას ნახევარი თვის გეგმა შესრულებული ჰქონდა დიდი გადაჭარბებით.

ამ დღეებში ქარხნის ყველა საამქროში მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები გაეცნენ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის — ილიჩის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა მოწოდებას. ქარხანამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა დამატებით იკისრა სექტემბერში გეგმა შეასრულოს 125 პროცენტით, ხოლო ოქტომბერში — 130 პროცენტით, გარდა ამისა აითვისოს ახალი სახის პროდუქციის გამოშვება.

სტახანოველმა ხარატმა მ. ხამჩიანმა ვალდებულება აიღო გეგმა შეასრულოს 350 პროცენტით და მოამზადოს 3 ხელოსანი. სტახანოველმა მელქონიანმა პირობა დასდო თითო ტონა თხევად თუჯზე დაზოგოს 10-12 პროცენტი სათბობი.

კალინინელებმა ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა საპასუხოდ იკისრეს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით გაათავკეცონ ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარება და გმირ წითელ არმიას მისცენ მეტი პროდუქცია ვერაგი მტრის — ფაშისტი ყაჩაღების სრული განადგურებისათვის.

ნატანებელ კოლმეურნეთა ახალი ვალდებულებანი

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). 17 სექტემბერს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას ამხ. გ. ჯაბუამ გააცნო ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის კოლექტივის მოწოდება ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაშლის შესახებ და აგრეთვე სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის პატარა-შაორიარის კოლმეურნეობის წევრთა საპასუხო წერილი ნატანებელი კოლმეურნეებისადმი.

კოლმეურნეები ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს დამატებითი ვალდებულებები. სტახანოველმა ლიუდი ხურციძემ, რომელმაც წლიური ვალდებულება შეასრულა და 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა — იკისრა გეგმის გადამეტებით ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებამდე მოკრიფოს 1.500 კილოგრამი.

კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ბრიგადირებმა იპოლიტე ხურციძემ, ლევან ცერცვაძემ, რგოლის ხელმძღვანელმა კაკი ნაკაძემ.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ იკისრა 15 სამუშაო დღეში აიღოს სიმინდის, სოიას, ბრინჯის მოსავალი, ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულოს 1 ოქტომბრისათვის, უდანაკარგოდ აიღოს ციტრუსოვანთა და ტუნგოს კულტურების მოსავალი, გამოუზარდოს წითელ არმიას 2 ცხენი და ყველა სახელმწიფო ვალდებულება შეასრულოს 10 ოქტომბრისათვის.

ლ. ლოლაძე

მოწინავე ჰიდროელექტროსადგური

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში აგვისტოში გამარჯვებულად ჩასთვალეს, მეორე ადგილი მიაკუთვნეს და მისცეს მეორე პრემია ჰიდროელექტროსადგურს, რომლის დირექტორია ამხ. გარეჩილაძე.

მთელი კოლექტივის თავდადებული მუშაობის შედეგად ჰიდროელექტროსადგურს აგვისტოში წუნი და ავარია არ ჰქონია, ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმა მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სადგურმა საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯი შეამცირა 19,9 პროცენტით და გეგმით გათვალისწინებული მოწყობილობების შეკეთებაზე გაცდენის დრო — 20 პროცენტით. სადგური გადაჭარბებით ასრულებდა ელექტროენერგიის დატვირთვის სადღეღამისო გრაფიკს.

საამქროებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება. აგვისტოში გამარჯვებული გამოვიდა მექანიკური საამქრო (უფროსი ინჟინერი კვანტალიანი, ოსტატი ნ. დოლიძე), რომელსაც გადაეცა საამქროთა შორის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა. საუკეთესო წარმატებებს აღწევს № 2 ბრიგადა (მორიგე ინჟინერი ბ. ბახტაძე, ტექნიკოსი ნ. სანიკიძე და უფროსი მემანქანე ს. მანიძე), რომელსაც ორი თვეა პირველი ადგილი უჭირავს.

ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი, რომელმაც უწუნოდ და უავარიოდ მუშაობას მიაღწია, სექტემბერში უკეთესად მუშაობს, ვიდრე აგვისტოში. სადგურის მთელი კოლექტივი კვლავ ენერგიულად იბრძვის, რათა ილიჩის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა მოწოდების პასუხად ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

ჭიათურის მაღაროელთა პასუხი

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ლენინის ორდენოსანი ქარხნის მოწოდების საფუძველზე ერთსულოვნად ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღაროს კოლექტივი იკისრა მარგანეცის გამოღების სექტემბრისა და ოქტომბრის გეგმები 105 პროცენტით შეასრულოს, 5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და 7 პროცენტით შეამციროს თვითღირებულება.

მაღაროელები საქმით ამტკიცებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ვ. ჭიოკაძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 სექტემბრის დილის ცნობა

17 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბანში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს იგერიებდნენ. იმ ნაწილის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ტოლბუხინი, გერმანელთა 12 ტანკი მოსპო და ჰიტლერელთა 2 ასეულამდე ჯარი გაჟლიტა...

...რელებმა შეჰქმნეს ბაზა, სადაც გლეხებისათვის წართმეულ პურს ინახავდნენ. ამხ. კ-ს პარტიზანული რაზმი თავს დაესხა საწყობების მცველებს და 27 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი გასწყვიტა. პურის მნიშვნელოვანი ნაწილი პარტიზანებმა გლეხებს დაურიგეს. საბჭოთა პატრიოტებს გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის მოახლოების ამბავი აცნობა დაზვერვამ; პარტიზანებმა ნავთი გადაასხეს დანარჩენ მარცვლეულს და ცეცხლი წაუკიდეს საწყობებს.

• • •

სტალინგრადთან ტყვედ წამოყვანილმა რუმინეთის 26-ე პოლკის მე-7 ასეულის ჯა...

...ჯარი, მოსპობილია საარტილერიო ბატარეა და 4 დაზგის ტყვიამფრქვევი. დავლად წამოღებულია: ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, შაშხანები და გრანატები.

• • •

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში, რომელიც ოკუპირებულია გერმანელების მიერ, ჰიტლე...

...ფრანგმა პატრიოტებმა სადგურ კაიეს ახლოს გერმანელთა ჯარის ეშელონის მარცხი მოაწყეს. ბულონში მწყობრიდან გამოყვანილია რკინიგზის სადგურის მოწყობილობა და დიდი ხნით დარღვეულია მატარებლების მოძრაობა.

18 სექტემბრის საღამოს ცნობა

18 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

17 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 15-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 70 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააჩუმეს საველე და საზენიტო არტილერიის 8 ბატარეა, ააფეთქეს საომარი მასალის 5 საწყობი, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი...

...3 დღის ბრძოლაში გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გასწყვიტეს. ჰიტლერელთა ორმა ასეულმა და რამდენიმე ტანკმა იერიში მიიტანა ლეიტენანტ მეშჩერიაკოვის ნაღმსატყორცნ ბატარეაზე. ნაღმსატყორცნელებმა 1 ტანკი დააზიანეს, 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი დახოცეს და მოწინააღმდეგის იერიში მოიგერიეს.

• • •

ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტერზე, რომელმაც ძლიერი ცეცხლით წინააღმდეგობა გასწია. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად გაჟლეტილია გერმანელთა 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპობილია 3 საარტილერიო და 11 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 13 მძიმე ტყვიამფრქვევი და რამდენიმე სათვალთვალო პუნქტი. ჩვენმა მებრძო...

...ლებმა ხელთ იგდეს 8 ქვემეხი, 11 ნაღმსატყორცნი, 24 ტყვიამფრქვევი, შაშხანები და საომარი მასალა.

• • •

კურსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედ ამხ. ლ-ს რაზმის მზვერავმა პარტიზანებმა გერმანელთა აეროდრომი აღმოაჩინეს. პარტიზანები რამდენიმე დღის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ, თუ რა ხდებოდა აეროდრომზე. მათ დრო შეარჩიეს, კავშირგაბმულობა მოშალეს, გუშაგები დახოცეს და 4 ბომბდამშენი „იუნკერს-88" მოსპეს. აეროდრომიდან წასვლის წინ პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს საწვავის საწყობს.

• • •

ბლომისა და ფოსის გემსაშენებს ადმინისტრაცია ჰამბურგში (გერმანია) 10-მდე დღის ვადით ართმევს სასურსათო ბარათებს იმ მუშებს, რომლებიც გამომუშავების ნორმას ვერ ასრულებენ. ვინც ნორმას ვერ შეასრულებს, ყველას საბოტაჟის გამწევად აცხადებენ და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აყენებენ. გესტაპოში ყოველდღე ათობით მუშებს იბარებენ დასაკითხავად. ამას წინათ პოლიციამ 40 კაცი დააპატიმრა ელექტროქსელის ავარიასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებიან უცხოელ მუშებს. 5 სექტემბერს გესტაპოელებმა სიკვდილით დასაჯეს 3 პოლანდიელი სამშობლოში გაქცევის ცდისათვის.

წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სამხედრო საბჭომ დააჯილდოვა:

მედლით „მამაცობისათვის"

1. პოლიტხელის მოადგილე ვასილ ნიკოლოზის-ძე **ალადაშვილი**
2. წითელარმიელი ალექსანდრე აკაკის-ძე **ბანცაძე**
3. პოლიტხელის მოადგილე გიორგი მოსეს-ძე **ბიკაშვილი**
4. წითელარმიელი შოთა დავითის-ძე **იობაშვილი**
5. უფროსი სერჟანტი ჯონდო იაკობის-ძე **იოსავა**
6. უფროსი სერჟანტი ტარიელ დიმიტრის-ძე **კიკალიშვილი**
7. უფროსი სერჟანტი შოთა ვასილის-ძე **მაისაია**
8. უფროსი სერჟანტი გიორგი კონსტანტინეს-ძე **ხანდირაძე**
9. წითელარმიელი რაფიელ პანტელეიმონის-ძე **თალაკვაძე**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. ეფრეიტორი კალისტრატე თულონის-ძე **ალანია**
2. ეფრეიტორი ლავრენტი ბიჭიას-ძე **ბერიშვილი**
3. ლეიტენანტი მიხეილ ივანეს-ძე **ბიჭაური**
4. უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ილიას-ძე **დოლიძე**
5. ლეიტენანტი დავით ტარასის-ძე **დოლაბერიძე**

ჩვენი ნაწილების აქტიური მოქმედება

მოქმედი არმია, 17 სექტემბერი. მოზდოკის რაიონში გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. ჩვენი ჯარები სძლევენ ძლიერ ცეცხლოვან წინააღმდეგობას, მაგარ დარტყმებს აყენებენ მტერს. ცხარე ბრძოლის შემდეგ ნ. ნაწილმა დაიკავა ერთი დასახლებული პუნქტი, რომელსაც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მიიტანეს მთელი რიგი იერიშები მტერზე და საგრძნობი ზარალი მიაყენეს მას. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი ტანკები და ცოცხალი ძალა და უკან დაიხიეს ახალ ზღუდეებზე.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

კავკასიის მთებში

მოქმედი არმია, 17 სექტემბერი. მთაგორიანმა და ტყიანმა რაიონმა ფართო შესა...

...დოკუმენტები. ამ რაზმს დახოცილი ჰყავს 15 გერმანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლები ვორონეჟის რაიონში

მოქმედი არმია, 18 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ვორონეჟის რაიონი კვლავ გადაიქცა გააფთრებული ბრძოლების ასპარეზად. ვორონეჟს სამხრეთით, დონის დასავლეთ ნაპირზე, ჩვენი ნაწილები მძლავრად ურტყამენ მოწინააღმდეგეს. ჰიტლერელებმა აქ მიწური საცეცხლე წერტების ხშირი ქსელი შექმნეს და თავიანთი დაცვის მისადგომები გადაღობეს მავთულხლართებითა და ნაღმიანი ველებით. ამის მიუხედავად, საბჭოთა მებრძოლებს მთელ რიგ უბნებზე იერიში მიაქვთ მტრის თავდაცვაზე. ფაშისტები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ და კონტრიერიშები მოაქვთ. გერმანელთა ქვეით ჯარებს და ტანკებს ავიაცია ეხმარება. ბრძოლა ღამითაც კი არა სწყდება. განუწყვეტლივ სწარმოებს საჰაერო ბრძოლები.

ბრძოლის მსვლელობაში გერმანიის ჯარებს დიდი ზარალი მოსდით ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ. მოწინააღმდეგემ ერთ უბანზე სცადა შეეკავებინა ჩვენი ნაწილების მიძალება და კონტრიერიშზე გამოუშვა დიდძალი მოტორიზებული ქვეითი ჯარი, ტანკები და თვითმფრინავები. 6 ნაწილმა ფაშისტთა საბრძოლო წყობილება გადასთელა, 500-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა, 3 მიწური საცეცხლე წერტი და მრავალი სატყვიამფრქვევო წერტი მოსპო და ააფეთქა მტრის საწყობი საომარ მასალიანად. მეორე ჩვენმა ნაწილმა გერმანელთა შეტევა მოიგერია, მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 2 ასეული და ხელთ იგდო 9 ნაღმსატყორცნი და 10 ხელის ტყვიამფრქვევი.

გუშინ საბჭოთა მებრძოლებმა კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი აიღეს. ფაშისტებმა სცადეს დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. გერმანელთა ყველა ცდა—შემოჭრილიყვნენ დასახლებულ პუნქტში, ჩაიშალა. ბრძოლის მსვლელობაში მოწინააღმდეგემ 1.300 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა. სხვა ადგილას, ვორონეჟის ჩრდილოეთით, ქვეითებმა ღამე მოწინააღმდეგის რამდენიმე მიწური საცეცხლე წერტი მოსპეს და მისი თავდაცვის განლაგებაში შეიჭრნენ.

გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ერთი მნიშვნელოვანი ზღუდისათვის. წითელარმიელები ბრძოლის ველზე მარჯვე მანევრებს მიმართავდნენ. 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს, მტრის 4 სანაღმსატყორცნო და 2 საარტილერიო ბატარია ჩააჩუმეს, 12 მიწური საცეცხლე წერტი დაანგრიეს და 15 სატყვიამფრქვევო წერტი მოსპეს.

საბჭოთა სახმელეთო ნაწილების მოქმედებას წარმატებით ეხმარება ავიაცია. მფრინავებმა მარტო ერთი დღის განმავლობაში მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 29 მანქანა, ბენზინის 2 ცისტერნი და ჩააჩუმეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ბატარია. ჩვენმა ავიაციამ ფაშისტების მიერ აგებული გადასასვლელი დაანგრია.

ვორონეჟის რაიონში გრძელდება ბრძოლები.

გ. კრილოვი

სინიავინოს რაიონში

ფრონტის ვოლხოვის უბანი, 18 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სინიავინოს რაიონში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები. ჩვენი ქვედანაყოფები მძიმე დარტყმებს აყენებენ მტერს, ჟლეტენ მის ცოცხალ ძალას, სპობენ ტექნიკას და ანგრევენ დასაყრდენ პუნქტებს.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ფრონტის ერთ უბანზე გერმანელებმა სცადეს წინათ დაკარგული პოზიციები დაებრუნებინათ და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ჰიტლერელებმა შეტევაზე გამოუშვეს ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი და მრავალი ტანკი. ფაშისტების კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მათ დიდი ზარალი ნახეს. ლეიტენანტმა გრუშჩკომ და ჯავშანმტვრეველმა კონდრაშევმა ბრძოლის დროს მტრის 5 ტანკი დააზიანეს და რამდენიმე მანქანა გააქციეს.

ფრონტის სხვა უბანზე გერმანელებმა დიდძალი ქვეითი ჯარი და ავიაცია მოიყვანეს. ჰიტლერელებმა აქ თავი მოუყარეს თვითმფრინავების მნიშვნელოვან რაოდენობას. საბჭოთა მფრინავები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომს. დაბომბვის შედეგად აეროდრომზე რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა და რამდენიმე დიდი აფეთქება მოხდა.

რუმინელები ორ ცეცხლს შუა

მოქმედი არმია, 18 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). 6 ქვედანაყოფის მებრძოლნი მთელი დღის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლებს შეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ. გერმანელთა რამდენიმე იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან ჰიტლერელებმა დიდი ზარალი ნახეს. მაშინ ჰიტლერელებმა ბრძოლაში რუმინელ ჯარისკაცთა ბატალიონი გამოუშვეს. მას დაეხმარნენ გერმანელთა ტანკები. წარმატება არც რუმინელებს ჰქონიათ. მათ ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ და უკუაქციეს. ჩვენმა მებრძოლებმა სროლა აუტეხეს გაქცეულ ჯარს. ამ დროს სროლა მოისმა გერმანელთა მხრიდანაც. გერმანელებმა დაუშინეს რუმინელებს 6 ტანკიდან, რომლებიც წინათ რუმინელთა ბატალიონს შეუერთეს, ახლა კი ეს ტანკები მათ უსწორდებოდნენ.

რუმინელები აქეთ-იქით აწყდებოდნენ; ხან იერიშს იწყებდნენ ხელახლა, ხან ისევ გარბოდნენ. მარტო ცალკეული ჯარისკაცები გადარჩნენ. 500-ზე მეტი მოკლული და დაჭრილი რუმინელი ბრძოლის ველზე დარჩა.

დ. შჩუკინი

მტრის წინააღმდეგ მტრისავე იარაღით

№ წითელარმიულ გაზეთში პოლიტხელის მოადგილე ე. ბაღდასაროვი სამი საბჭოთა მებრძოლის სიმამაცეზე მოგვითხრობს:

„ოცეულის მეთაურს ლეიტენანტ არუთინიანს რთული საბრძოლო დავალება მისცეს. იგი თავისი ოცეულით მარჯვენა მხრიდან უნდა შეჭრილიყო სოფელ ვ-ში და დაეკავებინა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტი.

ამხ. არუთინიანმა ამ საქმისთვის შეარჩია ყოჩაღი წითელარმიელები ამხ. ხურცაძე და მამარდაშვილი. სამივენი შეუმჩნევლად მიცოცდნენ მტრის ბლინდაჟთან და ხელთ იგდეს ფაშისტთა ასეულის ნაღმსატყორცნი 20 ცალი ნაღმით.

მამაცმა მებრძოლებმა მტრისავე იარაღით სასტიკი ცეცხლი დაანთეს მოწინააღმდეგის ბლინდაჟებში და მრავალი ფაშისტი გაჟლიტეს.

მათ პირნათლად შეასრულეს საბრძოლო დავალება“.

უფროს სერჟანტ გრ. კახიძის სიმამაცე

№ წითელარმიულ გაზეთში პოლიტხელი ზ. ლევიცკი მოგვითხრობს უფროს სერჟანტ გრიგოლ კახიძის შესახებ შემდეგს:

„მთის დაკლაკნილ გზაზე მოტოციკლით მიჰქროდა ამხ. გ. კახიძე. მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ესროდა გზას ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. უფროსმა სერჟანტმა კახიძემ სწრაფად დაამუხრუჭა მოტოციკლი, გადმოიღო მხრიდან კარაბინი და საფარში ჩაწვა. მან წინ შეამჩნია გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფი, რომელნიც ჩვენს ნაწილს ესროდნენ.

მეავტომატეთა მოქმედებას ხელმძღვანელობდა რამდენიმე ოფიცერი. კახიძემ სრულიად გულდამშვიდებით დაუმიზნა და ესროლა ერთ-ერთ ოფიცერს, რომელიც უმალვე ძირს დაეცა. მეავტომატეები ბუჩქებში მიიმალნენ. კახიძემ ირგვლივ შეათვალიერა გარემო, სწრაფად მიირბინა მოკლულ ოფიცერთან, აიღო მისი ავტომატი და დოკუმენტებიანი ჩანთა.

უფროსი სერჟანტი გ. კახიძე ნადავლი ავტომატით.
ფოტო ი. გორბატიუკისა

ამის შემდეგ კახიძე ახოხდა ერთ-ერთ სიმაღლეზე, საიდანაც შეიძლებოდა გარემოს დათვალიერება და სროლის კარგად წარმოება.

იგი მოხერხებულად აფარებდა თავს მიხვეულ-მოხვეულ ადგილებს, უთვალთვალებდა ოფიცრებს და ესროდა მათ ნადავლ ავტომატს. ზუსტი სროლით მან კიდევ ერთი ოფიცერი და ერთი ეფრეიტორი მოჰკლა. გერმანელები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, დააგდეს ორი ხელის ტყვიამფრქვევი და მისი ვაზნები. მალე ამხ. კახიძეს მოეშველნენ ჩვენი მებრძოლი ცხენოსნები.

ამხ. კახიძემ ნადავლი ტყვიამფრქვევები გადასცა კაზაკებს, ხოლო ოფიცრის ავტომატი და მისი ჩანთა, რომელშიც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები აღმოჩნდა, მან გადასცა ნაწილის შტაბს.

მამაცობისათვის უფროსი სერჟანტი გრიგოლ კახიძე წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე“.

მოქმედი არმია.
სამხრეთი.

ინგლისში ამერიკის ჯარების ახალი დიდი კონტინგენტი ჩავიდა

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში ამერიკის ჯარების დიდი კონტინგენტი ჩავიდა. ქარავანმა სწრაფად გადასერა ატლანტის ოკეანე ისე, რომ გზაში არაფერი შემთხვევია.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა 17 სექტემბერს ღამით ბორდოში დაბომბეს დოკები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების ზარალი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, იმ ხნის განმავლობაში, რაც ომი სწარმოებს წყნარ ოკეანეში, ჩაძირულია ან დაზიანებულია ამერიკის 53 სამხედრო ხომალდი. აქედან 32 ხომალდი მოწინააღმდეგემ ჩაძირა, 9 გემი თვით ეკიპაჟებმა ჩაძირეს, რომ მტერს ხელში არ ჩაეგდო, ხოლო 12 გემი დაზიანებულ იქნა.

იაპონელებმა 167 სამხედრო და სხვა გემი დაჰკარგეს; დაზიანებულია 91 ხომალდი.

სარკინიგზო მოძრაობის შემცირება რუმინეთში

სტამბოლი, 18 სექტემბერი (საკდესი). რუმინეთში კვლავ შეამცირეს სამგზავრო მატარებლების მოძრაობა რკინიგზებზე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სამგზავრო ვაგონები თითქმის მთლიანად მობილიზებულია გერმანელ და რუმინელ დაჭრილთა გადასაყვანად და რუმინეთიდან გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნავთის გასაზიდავად. რუმინეთის რკინიგზებით დაუბრკოლებლივ მიმოსვლა ნებადართული აქვთ მხოლოდ უმაღლეს მოხელეებსა და ოფიცრებს, რომელთაც სამსახურებრივი მივლინება აქვთ. მიმოსვლის აკრძალვა გერმანელთა ადმინისტრაციის მოხელეებს არ ეხება.

რუმინეთში მოსამსახურეებს პოლიცია ადევნებს თვალს

ჟენევა, 18 სექტემბერი (საკდესი). ანტონესკუს მთავრობამ მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართა იმისათვის, რომ სახელმწიფო აპარატიდან განედევნა ანტიგერმანულად განწყობილი სახელმწიფო მოსამსახურეები, ამის მიუხედავად, რუმინეთის დაწესებულებებში ოპოზიციური განწყობილება არ შესუსტებულა. ამის გამო რუმინეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ დაწესებულებაზე სასტიკი კონტროლის დაწესებას. ამ კონტროლის განსახორციელებლად საიდუმლო ორგანიზაცია იქმნება. მისი ამოცანაა თვალყური ადევნოს თითოეული მოსამსახურის განწყობილებას. იმავე ბრძანებით შემოღებულია სიკვდილით დასჯა „საბოტაჟის გამწევ და შფოთის მთესველ“ მოსამსახურეთათვის.

ვიშის მმართველები შეშფოთებულები არიან

ჟენევა, 18 სექტემბერი (საკდესი). ვიშიდან იუწყებიან, რომ 15 სექტემბერს პეტენმა სასწრაფო თათბირზე გაიწვია მის მიერ დანიშნული ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტის მერები. განხილულ იქნა საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც განხორციელებულ უნდა იქნას მოსალოდნელი სახალხო მღელვარების გამო. ჰავას-ოფის სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ თათბირის საგანი იყო „საფრთხილო როლი, რომელიც მერებმა უნდა შეასრულონ ახლანდელ პირობებში, და ადმინისტრატიული ამოცანები, რომლებიც მათ უნდა განახორციელონ, განსაკუთრებით საჰაერო საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც მოსალოდნელია ინგლისის მხრივ“.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრად ტანი დაინიშნა

ტოკიო, 17 სექტემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის საინფორმაციო საბჭოს თავმჯდომარე მასაიუკი ტანი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ეს თანამდებობა ტოგოს გადადგომის შემდეგ დროებით ეკავა პრემიერ-მინისტრ ტოძიოს. ახალი მინისტრი შეთავსებით დაიკავებს აგრეთვე საინფორმაციო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

ლონდონში შეიქმნა ჩეხოსლოვაკიელ ანტიფაშისტთა კომიტეტი

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ ინგლისში შეიქმნა ახალი გაერთიანებული კომიტეტი ინგლისში მცხოვრებ გერმანული წარმოშობის ჩეხოსლოვაკიელ ანტიფაშისტთა წარმომადგენლებისაგან. ახალი კომიტეტი ამოცანად ისახავს „ფართო ანტიფაშისტური მოღვაწეობის გაშლას ჩეხოსლოვაკიაში“ და ანტიფაშისტური რადიოპროპაგანდის წარმოებას საბოტაჟის გასაძლიერებლად, სამხედრო წარმოების მოსაშლელად, ტრანსპორტის დეზორგანიზაციისათვის და სუდეტის ოლქში პარტიზანული ბრძოლის მოსაწყობად.

იძულებითი შრომა საფრანგეთში

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკდესი). ბერლინიდან მიღებული ბრძანებით ლავალმა გამოსცა დეკრეტი 18-დან 51 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცის და 21-დან 35 წლამდე ასაკის ყველა ქალის იძულებით სამუშაოებში ჩაბმის შესახებ. ეს ღონისძიება იმის შედეგია, რომ ჩაიშალა ლავალის ცდა—შეეგროვებინა 350 ათასი ფრანგი მუშა გერმანიაში სამუშაოდ. როგორც გაზეთი „ფრანსი“ მოწინავე სტატიაში სწერს, ჩაიფუშა აგრეთვე თაღლითობა—ფრანგი ტყვეების ფრანგ მუშებში „გაცვლა“. ფრანგმა მუშებმა უარი განაცხადეს იმაზე, რომ გერმანიაში წასულიყვნენ სამუშაოდ. მაშინ ლავალმა გადასწყვიტა პირდაპირი მობილიზაციისათვის მიემართა. მან ჯერ კიდევ ივნისში გააფრთხილა ფრანგი მუშები, რომ თუ ისინი უარს იტყოდნენ გერმანიაში ნებაყოფლობით წასვლაზე, მათ მიმართ იძულებითი ზომებს მიიღებდა. ეს მუქარა ახლა განხორციელებულია დეკრეტით იძულებითი შრომის შესახებ.

გაზეთი „ფრანსი“ რწმენას გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მუშები შესძლებენ თავი აარიდონ ბეგარას, რომელსაც მათ თავს ახვევს ლავალი.

საჰაერო თავდაცვის ღონისძიებათა საბოტაჟი ბუდაპეშტში

ჟენევა, 16 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის ტრანსოცეანის სააგენტო გადმოგვცემს, საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმის შემდეგ პოლიციამ დააჯარიმა და დააპატიმრა მთელი რიგი პირები, რომელთაც შუქჩაქრობის წესები დაარღვიეს. სასტიკ განკარგულებათა მიუხედავად, თავდასხმების დროს ყველა ქუჩაში სჩანდა გაჩირაღდნებული ღია ფანჯრები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება,—აცხადებს სააგენტო,— რომ ეს დარღვევა საბოტაჟის შეგნებული აქტებია. მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო გახდა სამხედრო და საპოლიციო ძალების გამოყენება.

ფინელები უკმაყოფილონი არიან მათი მმართველების მიერ წამოწყებული ომით

სტოკჰოლმი, (საკდესი). შვედურ გაზეთ „არბეტარენში“ გამოქვეყნებულია ფინელი მეზღვაურის ნაამბობი. „მე, — ამბობს ეს მეზღვაური,—მონაწილეობას ვიღებდი 1939-40 წლის ომში და უმცროსი მეთაურის წოდება მივიღე. ჯერ მაშინვე ვერა ვხვდავდი ფინელებში დიდ ენტუზიაზმს. ზავის დადების დღე დიდი სიხარულის დღე იყო ჯარისკაცებისათვის. ფრონტის ჩვენს უბანზე მათ დემობილიზაციის შესახებ ფორმალურ ბრძანებასაც კი არ მოუცადეს—ბევრმა შაშხანები დაჰყარა და თავთავიანთ სახლებში წავიდნენ. უფროსებმა ვერაფერი გააწყეს, რადგან შეუძლებელი იყო ათიათასობით კაცის დასჯა.

1941 წლის ომის დასაწყისში ბევრნი შინ დარჩნენ, ყური არ უგდეს ბრძანებას მობილიზაციის შესახებ, და საჭირო გახდა მათი ძალით გამოყვანა. ყველა ფიქრობდა, რომ ომი მალე დამთავრდებაო. „მოკავშირეთა“ და მმართველთა წინააღმდეგ გაბოროტება დღითი-დღე იზრდება. გერმანელებთან ცუდი ურთიერთობის შესახებ ხმები სინამდვილეს შეესაბამება. გერმანელებსა და ფინელებს ფრონტის ერთსა და იმავე უბანზე არა ჰგზავნიან, მათ გულმოდგინედ აშორებენ ერთმანეთს. ფინეთის ქალაქთა უმრავლესობაში ბევრია გერმანელი სამხედრო პირი. ხალხი გულმოსული კითხულობს, რას აკეთებენ ზურგში „თანაშემწეები“, როცა ფინელები ფრონტზე სისხლს ღვრიანო. მოსახლეობა შიმშილობს. ყველაზე მხურვალე სურვილია ზავი. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ფინელმა და გერმანელმა ხალხებმა ომის ახალი ზამთარი აიტანონ“.

კადრი ფილმიდან „ხიდი“

პატრიოტული ფილმი

სარეცენზიო ფილმი არ არის დიდი მეტრაჟის ნაწარმოები. კინოფილმი „ხიდი“ გადმოგვცემს ერთ-ერთ უაღრესად მძიმე საბრძოლო ეპიზოდს და გვიჩვენებს საბჭოთა მეომრების გმირობას, მამაცობასა და უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი. ახალგაზრდა კინორეჟისორმა კ. პიპინაშვილმა მთელი რიგი კარგი ბატალური სცენები შექმნა. საბრძოლო ეპიზოდები გაკეთებულია გარეგნული ეფექტების გარეშე, ნაჩვენებია დამაჯერებლად, ამაღელვებლად. ამიტომ არის, რომ მაყურებელი დაძაბული ყურადღებით უცქერის ეკრანს, მასზე მოქმედებს დრამატიული მდგომარეობის ყოველი ცვლა. რეჟისორს საბრძოლო ეპიზოდებით მნიშვნელოვნად გაუმდიდრებია გ. მდივნის სცენარი „ხიდი“. მივიღეთ პატრიოტული ფილმი, რომელიც ასახავს წითელი არმიის გმირული ბრძოლის ეპიზოდს და მაყურებელში აძლიერებს სამშობლოსათვის თავდადებას, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი გამარჯვების რწმენას.

კარგი იქნებოდა ფილმის სიუჟეტი დრამატიული თვალსაზრისით განვითარებულიყო. რეჟისორს სიმძიმე გადაუტანია ბატალურ სცენებზე, რაც ჩრდილავს მოქმედ პირთა დრამატიულ ინტრიგას, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც სცენარს, ისე პიესას „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მომენტი ფართო მაყურებლისათვის ადვილი გასაგები როდია, ხოლო უკანასკნელ სცენაში ოთარის დაღუპვა მოსალოდნელ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, მაშინ, როცა აქ ტრაგიზმი ასულია უმაღლეს მწვერვალზე.

ოპერატორ ვისოცკის ოსტატურად გადაუღია ხიდთან ბრძოლები. შესანიშნავად არის ნაჩვენები მდინარეში ნაღმების აფეთქება, მთელი ბრძოლის სურათი, რაც ხელს უწყობს ამ ფილმის წარმატებას. კარგია ქ. კიკნაძის მხატვრობა და ა. მაჭავარიანის მუსიკა.

მსახიობმა გ. შავგულიძემ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის მიმზიდველი სახე შექმნა. მისი ილო გიგაური ღრმა კვალს სტოვებს მაყურებლის მეხსიერებაში. მსახიობმა დ. ლორთქიფანიძემ, რომელიც ჩვენ პირველად ვიხილეთ ეკრანზე, ოთარ გიგაურის როლში უდავოდ გამოამჟღავნა აქტიორის მონაცემები. ასევე კარგია მ. ჯაფარიძის მანანა და პ. დოლიძანოვის ბარუტა. მსახიობმა გ. ფრონისპირელმა საბჭოთა რკინიგზელის, პატრიოტისა და მამის კოლორიტული როლი დიდი დამაჯერებლობით განასახიერა.

ფილმის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მასში მაყურებელი რელიეფურად ხედავს გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მკაცრ სურათებს, ხედავს ჰიტლერელ ავაზაკთა ვერაგობას (სემენჩუკის წამება და დაღუპვა), და როცა ეკრანზე, უაღრესად მძიმე განსაცდელის წუთებში, უშიშარი საბჭოთა პატრიოტები სიკვდილის არაფრად მიჩნევით საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს სწირავენ, — მაყურებელში ეს იწვევს მტერზე შურისძიების მრისხანე გრძნობას და საყვარელი სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს მათ.

გერმანელ ოკუპანტთა საზიზღარი სახეები ამ ფილმში ნაჩვენებია პირდაპირ ნატურალური დამაჯერებლობით, იმ თვისებებით, რაც ფაშისტი ბარბაროსების დამახასიათებელია.

„ხიდი“ პატრიოტული კინოფილმია. შესაძლებელი იყო ფილმის პირველ ორ სურათში უფრო ტიპიურად გაშლილიყო გიგაურების ოჯახური ცხოვრება, რაც ხელს შეუწყობდა იმას, რომ უფრო გამოკვეთილი სახეები მიგვეღო და მთავარი მოქმედი პირებიც უფრო მკვეთრად გამორჩეულიყვნენ დანარჩენ მოქმედ პირთაგან. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობდა ფილმის სისადავეს და მხატვრულ ეფექტს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ხიდი“ მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან თბილისის კინოსტუდიამ ამ ფილმით საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის თემაზე აგებული საინტერესო ნაწარმოები შექმნა.

პატრიოტული კინოფილმი „ხიდი“ მაყურებელში აძლიერებს სიყვარულს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი და მრისხანე სიძულვილს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისადმი. ჩვენ ვხედავთ მამაც, შეუპოვარ, გმირ საბჭოთა მებრძოლებს, რომლებიც სამშობლოსათვის, სტალინისათვის წინ მიდიან ბრძოლაში, სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას, მძიმე განსაცდელს, და ახლოვებენ ვერაგი მტრის სრულ განადგურებას.

„ხიდი“ პატრიოტული ფილმია საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე, ჩვენს მრისხანე დღეებზე და ამაშია მისი აქტუალობა.

გ. ნ.

მუსკომედიის თეატრის ახალი დადგმა

მუსკომედიის თეატრმა, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში მუშაობა არ შეუწყვეტია, მორიგ პრემიერად დასდგა უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალანი“. ეს ოპერეტა საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ ნაწარმოებად ითვლება. იგი მრავალგზის დადგმულა ქართულ სცენაზე. მაგრამ მისი მუსიკა სრულდებოდა გაუბრალოებულად, ხოლო მთელი ტექსტი გაკეთებული იყო ჟარგონზე, რაც ზოგჯერ პორნოგრაფიაში გადადიოდა. ამგვარმა დადგმამ ეს ოპერეტა ბევრის თვალში დაბალი გემოვნების გამომხატველ ნაწარმოებად აქცია.

მუსკომედიის თეატრმა ოპერეტა, ასე ვთქვათ, აამაღლა. პიესის ტექსტი გაიწმინდა უხამსი ოხუნჯობისა და ქუჩური გამოთქმებისაგან, გამდიდრდა მხატვრულად, გაკეთდა ქართული ლიტერატურული ენით. ოპერეტის მოქმედი პირნი, სახეები და ხასიათები ფსიქოლოგიურად უფრო დასაბუთებულია. ამრიგად ოპერეტამ იცვალა სახე და მივიღეთ საინტერესო მხატვრული ნაწარმოები.

დამდგმელმა რეჟისორმა ზ. გამრეკელმა, მხატვარმა ნ. ყაზბეგმა, ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა და დირიჟორმა კ. მაჩაბელმა დიდი მუშაობა გასწიეს. თეატრმა (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ძნელაძე) მოგვცა კარგად გაკეთებული სპექტაკლი, რომელიც შეჰერაზადის ზღაპარს მოგვაგონებს. ამას ხელს უწყობს ნ. ყაზბეგის მშვენიერი დეკორაციები და ტანსაცმელი.

სპექტაკლში მონაწილეობენ თ. როდე-ჩიქავაძე (გულჩოჰრა), ნ. თულაშვილი (ასია), ე. ციმაკურიძე (ჯიხან), ვ. იანვარიშვილი და მ. ინგილო (თელი), მ. ბერიაშვილი და შ. ოსეფაშვილი (ასკარ), ვ. სალარიძე (სოლეიმან), ბ. ჩხეიძე-შვილი (სულთანბეგი), ნ. მოსეშვილი (ვალი). საბალეტო წყვილი—ინა ყიფიანი და გ. პოღოსოვი. შემსრულებელნი კარგად არიან შერჩეულნი. სპექტაკლის მაღალმხატვრულობითა და შესრულების მაღალი დონით აიხსნება, რომ თეატრს დიდძალი მაყურებელი ჰყავს.

ნ. კაიშაური

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების რეალიზაცია საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთები რესპუბლიკაში გავრცელებულია 44.101.000 მანეთის რაოდენობით, აქედან ქალაქების მცხოვრებთა შორის გავრცელებულია 18.630.000 მანეთის, ხოლო კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის — 25.467.000 მანეთის ბილეთები.

მარტო ქალაქ თბილისში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა 8.266.000 მანეთს შეადგენს, საიდანაც 3.575.000 მანეთი უკვე ნაღდად არის შეტანილი. მთლიანად რესპუბლიკაში ხელმოწერის ანგარიშში ნაღდ ფულად შეტანილია 27.570.000 მანეთი. ხელმოწერის თანხები მთლიანად დაჰფარეს ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, ქვემო-სვანეთის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის და წალკის რაიონებმა.

სამეურნეო აქტივი ეკონომიისათვის ბრძოლაში

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა გარდაქმნილია სამხედრო ყაიდაზე. ინდუსტრია გადაყვანილია სამხედრო რელსებზე. აღმოსავლეთში ევაკუირებული მრეწველობა აღდგენილია ახალ ადგილებზე, ხოლო სამხედრო მრეწველობის უმნიშვნელოვანესმა და უდიდესმა ქარხნებმა ევაკუაციის შემდეგ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბეს წარმოების ომამდელ დონეს.

მაგრამ ომი მოითხოვს სახალხო მეურნეობის შემდგომს განვითარებას. ფართოვდებიან ძველი საწარმოები, დაჩქარებული ტემპებით შენდება ახალი საწარმოები. პროდუქციის გამოშვების გადიდება კი ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ კიდეც ამას, არა მარტო ახალ სიმძლავრეთა ამუშავებით, არამედ იმ საწარმოო აპარატის გაძლიერებული გამოყენებით, რომელიც უკვე გვაქვს და რომელიც შექმნილია სტალინური ხუთწლედების წლებში. ომი მოითხოვს მრეწველობის შინარესურსების სრულ მობილიზაციას, ტექნიკის მაქსიმალურ გამოყენებას, არსებული მოწყობილობისა, ნედლეულისა და სათბობისადმი ეკონომიურ მოპყრობას.

ამ მიმართულებით ჩვენი საწარმოო-სამეურნეო აქტივი მოწოდებულია დიდი როლი შეასრულოს. იგი გვეხმარება თითოეული ქარხნის, თითოეული საამქროს რეზერვებისა და შესაძლებლობის გამოვლინებაში. და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ძირეულ მუშაკებს, ინჟინრებს, ოსტატებს, სტახანოველებს შეუძლიათ გვირჩიონ და ხშირად გვიჩვენებენ კიდეც, თუ როგორ გავანაღდოთ საუკეთესოდ ეს რეზერვები.

პარტია, ამხანაგი სტალინი ყოველთვის ასწავლიდნენ და ასწავლიან მეურნეობის მეთაურებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს აქტივის გამოცდილების გამოყენების ცოდნას, იმის ცოდნას, თუ როგორ მივუგდოთ ყური სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას, რომელიც გვაფრთხილებს შეცდომებისაგან და ასწორებს ამ შეცდომებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა. აქტივის გამოცდილება მიმართულ უნდა იქნას მთელი ჩვენი რესურსების მობილიზაციისაკენ, რათა უფრო მეტად დავეხმაროთ ფრონტს.

აქცევდა რა ყურადღებას აქტივთან მუშაობის შესუსტებას, ამხ. გ. მ. მალენკოვი XVIII პარტიულ კონფერენციაზე ამბობდა:

„ეს ცოტათი როდი აიხსნება ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელის ყოყოჩობით.

ასეთი ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ყველაფრის გაკეთება თვითონ შეუძლიათ და არ საჭიროებენ, რომ აქტივს მოეთათბირონ, რომ გაითვალისწინონ ძირეული მუშაკების, ინჟინრების, ტექნიკოსების, სტახანოველების გამოცდილება.

ასეთ ხელმძღვანელებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებისა ეშინიათ“.

ომის დროს აქტივთან მუშაობა ბევრ ადგილას კიდევ უფრო შესუსტდა. ზოგიერთ სამეურნეო და პარტიულ მუშაკს ჰგონია, რომ „ახლა თვითკრიტიკის დრო არ არის“. ეს აშკარა შეცდომაა. **ომის დროს პარტია მოითხოვს განსაკუთრებულ შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი.** პარტიას არ ეშინია გამოამჟღავნოს ნაკლოვანებანი ომის დროს, მკვეთრად აკრიტიკებს მათ, ხედავს რა კრიტიკასა და თვითკრიტიკაში ნაცად ბოლშევიკურ საშუალებას ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და ჩვენი განუხრელი წინსვლისათვის. თვითკრიტიკა ჩვენი ძლიერების მაჩვენებელია. თვითკრიტიკისა არ უნდა გვეშინოდეს, იგი უნდა გვეხმარებოდეს მრეწველობაში კიდევ უფრო მეტი წარმატების მისაღწევად!

XVIII პარტიულმა კონფერენციამ მოითხოვა **აღდგენილ იქნას საწარმოო-სამეურნეო აქტივების მნიშვნელობა.** კონფერენციის ამ გადაწყვეტილებამ სავსებით შეინარჩუნა თავისი ძალა ომის დღეებში.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშს საწარმოო-სამეურნეო აქტივის თათბირის შესახებ, რომელიც ამ დღეებში ნ საავიაციო ქარხანაში შესდგა. ეს ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აგვისტოში ქარხანამ თვითმფრინავები გეგმის გადამეტებით მოგვცა. სექტემბრის პირველ ნახევარში იგი აგრეთვე კარგად მუშაობს. მაგრამ, არ კმაყოფილდება რა მიღწეულით და ისწრაფვის რა კიდევ მეტი დახმარება გაუწიოს ფრონტს, ქარხნის სამეურნეო და პარტიულმა ხელმძღვანელობამ საჭიროდ დაინახა შეეკრიბა აქტივი, მოთათბირებოდა მას, გაბედულად გამოემჟღავნებინა არსებული ნაკლოვანებები, გამოეყენებინა მთელი კოლექტივის გამოცდილება თვითმფრინავების გამოშვების გასადიდებლად.

საწარმოო-სამეურნეო აქტივის ამ თათბირის განსაკუთრებული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ განსახილველად დასმული იყო ყველაზე უფრო აქტუალური საკითხი—ეკონომიის შესახებ. და ქარხნის კოლექტივმა შესძლო საქმიანად გამოევლინებინა ეკონომიის ძალიან დიდი შესაძლებლობანი.

ჩვენი ქვეყანა არაფერს არ იშურებს სამხედრო მრეწველობისათვის. ეს მრეწველობა პირველ რიგში მარაგდება უაღრესად ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულით. მაშასადამე, მანვე უნდა გვიჩვენოს ყველაზე უფრო მეტი მომჭირნეობის მაგალითი. სწორედ ამ საქმის თაოსნად გამოდის ნ საავიაციო ქარხნის კოლექტივი. აქტივის თათბირზე ნაჩვენები იყო ალუმინის, ბრინჯაოს, მაღალხარისხოვანი ფოლადის, ომისათვის ამ ძვირფასი ლითონების ეკონომიის შესაძლებლობანი. ქარხანაში წამოყენებულია ლოზუნგი: ეკონომიური მუშაობა — ეს ახალი, დამატებითი თვითმფრინავებია წითელი არმიისათვის.

სწორია, ამხანაგებო!

მოიმომჭირნებ 2-3 ტონა ალუმინს — ეს კიდევ ერთი თვითმფრინავია ჩვენი ავიაციისათვის.

მოიმომჭირნებ ერთ ტონა სათბობს — შეიძლება კიდევ 1.000 ნაღმი დაამზადო.

ყუმბარის ერთ-ერთ ქარხანაში ლითონის მარტო ერთი პროცენტის ეკონომია საშუალებას მისცემდა მას დამატებით გამოეშვა 165 ათასი ყუმბარა.

კოქსის ეკონომია მეტალურგიაში— ეს არის ახალი ათასობით ტონა ლითონი ტანკებისათვის.

ქვანახშირის ეკონომია ტრანსპორტზე — ეს არის ფრონტზე მიტანილი დამატებითი ასობით ეშელონი.

სამეურნეო-საწარმოო აქტივის თათბირზე გამონახულ იქნა ლითონის, ბენზინის, ელექტროენერგიის მომჭირნეობის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების ბევრი კონკრეტული გზა. გამომჟღავნებულ იქნა ბევრი შეცდომა. მაგრამ აქტივიდან ამხანაგები ისე წავიდნენ, რომ თავიანთი ძალებისადმი კიდევ უფრო მეტი რწმენა წაიღეს თან, კრიტიკამ გამოაფხიზლა ისინი, აიძულა უფრო ყურადღებით დაჰკვირებოდნენ თავიანთ მუშაობას.

ქარხნის აქტივმა სურვილი გამოსთქვა, რომ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებმა გადასინჯონ თავიანთი ვალდებულებანი და შეავსონ ისინი მაჩვენებლებით ეკონომიის მხრივ. წინასაოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორებმა — ვლადიმერ ილიასიჩის სახელობის ქარხნის კოლექტივმა — თავიანთ ვალდებულებებში აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სათბობის, ელექტროენერგიის, ზეთეულის ეკონომიას. და ეს სწორია. **მხოლოდ ის შეიძლება შეჯიბრების მოწინავედ ჩაითვალოს, ვინც საუცხოო ხარისხის პროდუქციას იძლევა მინიმალური ხარჯის გაწევით.**

ჩვენი საწარმოო-სამეურნეო აქტივის უმდიდრესი გამოცდილების გამოყენება საშუალებას მისცემს მრეწველობას სძლიოს ომიანობის დროის მთელი სიძნელეები, დაამყაროს ეკონომიის ნამდვილი რეჟიმი, და მისცეს წითელ არმიას კიდევ უფრო მეტი საშუალებანი საზიზღარი მტრის გასაჟლეტად.

„პრავდის“ მეთაური მოწინავე, 17/IX.

ლექცია

20 სექტემბერს, დღის 2 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესდგება ამხ. **ხულეიმანის** ლექცია, რუსულ ენაზე. თემა: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება პარკის სალაროში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და 26 კომ. სახ.—„ხიდი“, ოქტომბერი, კომკავშირელი, სპარტაკი — „გიორგი სააკაძე“, დამკვრელი — „საბრძოლო კინოკრებული № 8“, ლუქსემბურგის სახ. — „მეზღვაურის ქალიშვილი“, მეცნიერება და ცოდნა — „პარტიზანის ქალიშვილი“, კომინტერნი — „კენდლლიარ“.

თეატრებში

სახოპერა — 20 სექტემბერს საღამოს — „ალი“, დღისით — „ტრავიატა“. **რუსთაველის სახელობის** — 20 სექტემბერს დღისით — „დავა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 20 სექტემბერს დღისით — „მეფე ერეკლე“, საღამოს — „ხანუმა“. **გრიბოედოვის სახელობის** — 20 სექტემბერს დღისით და საღამოს — „ინჟინერი ხერგიევი“. **სომხური თეატრი** — 20 სექტემბერს დღისით — „აღმოსავლეთის დანტისტი“, საღამოს — „შურისძიება“. **ახუნდოვის სახელობის** — 20 სექტემბერს დღისით და საღამოს — „ბაზარ“. **სანკულტურის** — 20 სექტემბერს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მუსიკალური კომედიის** — 20 სექტემბერს დღისით — „ხაჯარათი“, საღამოს — „ციხფერი კლდეები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს, რომ მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე და კურსზე დაიწყება 1 ოქტომბერს. განმეორებითი გამოცდები იწარმოებს 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე სათანადო განრიგების მიხედვით.

პროფესორ-მასწავლებლებს ევალებათ გამოცხადდნენ 25 სექტემბერს. 1-დან 5 ოქტომბრამდე ჩატარდება ახალმიღებულთა (I კურსის სტუდენტების) რეგისტრაცია სათანადო ფაკულტეტის მიხედვით. ის პირი, რომელიც არ გაივლის რეგისტრაციას, მექანიკურად ამოირიცხება სტუდენტთა სიიდან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე

ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან კოწო გუდაძის ცოლისდის
კლარა გრიგოლის-ასულ მგალობლიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/IX, 7 ს. ტურგენევის ქ. № 4, დაკრძალვა 20/IX, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1177

საქ. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სამკერვალო-საფეხსაცმელო წარმოების თანამშრომლები იუწყებიან, რომ 20/IX, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია დათიკო გეგუჩაძის დის
ოლია სიმონის-ასულ გეგუჩაძე-ჩიხრაძის
სამოქ. პანაშვიდი. 1178

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიაღმასკომის სოცუზრუნველყოფის თანამშრომლები იუწყებიან ამავე განყოფილების თანამშრომლის ნიკოლოზ მეძმარიაშვილის ძმის
ალექსანდრე ონისიმეს-ძე მეძმარიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/IX, 6½ ს. ნიკოლაძის ქ. № 24, დაკრძალვა 20/IX, 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1175

„თბილქალანტრანსპორტის“ ორგბიურო და თანამშრომლები იუწყებიან ვანო ჩიხრაძის შვილის
როზას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/IX, 7 ს. გამოსვენება 20/IX, 4 ს. ბრძოლის ქ. № 40. 1176

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 9770